BioLogica

საქართველო, თბილისი, ქავთარაძის ქ. 34, შენობა 2
შპს "ბიოლოგიკა"
E-mail: blgeorgia@gmail.com
Tel: +(995) 595 41 32 51

04/06 3 ივნისი 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს „ბიოლოგიკა", ქ. რუსთავის საწარმოო ზონაში, მარის არხის III დასახლებაში, გეგმავს სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის მოწყობას.

გაცნობებთ რომ, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული საქმიანობა განხორციელდება სამედიცინო დაწესებულების მიერ, „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა "დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტში მითითებული შენიშვნის თანახმად, საქმიანობა არ განიხილება, როგორც გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული საქმიანობა.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ბიოლოგიკა" არ წარმოადგენს „სამედიცინო დაწესებულებას", კომპანიის მიერ სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება, განხილულ იქნა როგორც „სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება" და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.4 ქვეპუნქტის თანახმად, დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ „ქ. რუსთავში სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის მოწყობის" სკრინინგის განცხადებას, შესაბამის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. ქ. რუსთავში სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის მოწყობის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზ.

2. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია და ობიექტის განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD

პატივისცემით,

დავით მეგრელიშვილი _____

შპს "ბიოლოგიკა"-ს დირექტორი

№ 8202
"03" 06 2020
1 ფ.